საჯარო დაწესებულებების 2021 წლის 10 დეკემბრის ანგარიშების სიზუსტის მონიტორინგის შედეგები



მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

2021

სარჩევი

ძირითადი მიგნებები 4

შესავალი 5

უწყებები რომელთა 10 დეკემბრის ანგარიშები არ არის ხელმისაწვდომი 7

10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული ინფორმაციის მონიტორინგის შედეგები 8

დასკვნა 12

ძირითადი მიგნებები

- **კვლევის ობიექტი 52 საჯარო დაწესებულებიდან, 22-ის (მათ შორის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო) 2021 წლის ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიში საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი;**

- **10 საჯარო დაწესებულებას, რომლებსაც 2021 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით IDFI-ს მინიმუმ ერთ წერილზე ქონდა ერთ თვეზე მეტი ვადაგადაცილება (მათგან 9-უწყებას პასუხი IDFI-სთვის დღემდე არ მოუწოდებია), 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვს რომ ყველა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა დააკმაყოფილა.**

- **7 საჯარო დაწესებულებას, რომლებსაც 2020 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით IDFI-ს მინიმუმ ერთ წერილზე ქონდა ერთ თვეზე მეტი ვადაგადაცილება (მათგან 5-უწყებას პასუხი დღემდე არ მოუწოდებია), ანგარიშში ყველა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე მინიჭებული აქვს დაკმაყოფილებული ან მიმდინარე სტატუსი;**

- **10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, 52 სახელმწიფო უწყებიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილება მიღებული აქვს მხოლოდ 10 საჯარო დაწესებულებას;**

- **ანგარიშში მხოლოდ 5 საჯარო დაწესებულებას აქვს ასახული საჯარო მონაცემთა ბაზების და პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.**

- პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ, 10 დეკემბრის ანგარიშების წარდგენაზე საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციების აღსრულებასთან დაკავშირებით, ამ დრომდე მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა.

შესავალი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს, აგრეთვე საკანონმდებლო მაცნეში გამოაქვეყნოს, მიმდინარე წლის ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ. კანონმდებლობით გათვალისწინებულია რომ აღნიშნული ანგარიში ფარავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- საჯარო დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების სტატისტიკური ინფორმაცია (მათ შორის რამდენი დაკმაყოფილდა და რამდენს ეთქვა; უარი);

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების და მასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაცია;

- საკანონმდებლო აქტების შესახებ ინფორმაცია, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას, ასევე უარის გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობა;

- დაწესებულების მიერ საჯარო მონაცემთა ბაზების და პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების შესახებ ინფორმაცია;

- საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის სახდელების დადების შესახებ ინფორმაცია.

2017 წლამდე კანონმდებლობა არ ადგენდა 10 დეკემბრის ანგარიშის განხილვის პროცედურებს, რის გამოც წლების განმავლობაში ამ ანგარიშების წარდგენას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ქონდა და არც საკანონმდებლო ორგანო და არც აღმასრულებელი ხელისუფლება არ ახდენდა მათ შესწავლას ან მონიტორინგს.

2017 წელს ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ფორმატში საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა (IDFI) და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს (TI) რეკომენდაცია დაენერგა საჯარო ინფორმაციის ანგარიშების მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, საქართველოს ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმის 4.2. პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით უნდა შექმნილიყო საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ანგარიშის განხილვის პროცედურა და რეაგირების ეფექტიანი მექანიზმები. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 177-ე მუხლით განისაზღვრა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის

კომიტეტის ვალდებულება, რომ საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე შეიმუშაოს და პარლამენტის ბიუროს წარუდგინოს ერთიანი დასკვნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით დადგენილი წესით საჯარო დაწესებულებების მიერ პარლამენტისათვის წარმოდგენილი ანგარიშების შესახებ.

პარლამენტის რეგლამენტის მიხედით ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი შეისწავლის საჯარო დაწესებულებების „10 დეკემბრის ანგარიშების" და მათში ასახული ინფორმაციის შესახებ **პარლამენტში შემოსულ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განცხადებებსაც**.

2021 წლის 29 ივნისს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პარლამენტის ვებგვერდზე გამოაქვეყნა „10 დეკემბრის ანგარიშების" განხილვის დაწყების შესახებ ინფორმაცია. ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო გადაემოწმებინა საჯარო დაწესებულებების ანგარიშებში მითითებული ინფორმაციის სისწორე, და ხარვეზის და/ან არასრული ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, რეაგირებისთვის მიემართა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისთვის.

კომიტეტისთვის, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, IDFI-მ 2021 წელს შეისწავლა საჯარო დაწესებულებების მიერ 2020 წელს წარდგენილი 10 დეკემბრის ანგარიშები. აღნიშნულ კვლევაში IDFI-მ მიმოიხილა საჯარო დაწესებულებების 2020 წლის 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული ინფორმაციის შესაბამისობა, IDFI-ს მიერ ამ პერიოდში გაგზავნილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე მიღებული პასუხების პრაქტიკასთან. კვლევის შედეგად მნიშნელოვანი მიგნებები გამოიკვეთა, რომელიც დოკუმენტის სახით გაეგზავნა პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფს.

პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა IDFI-ის მიერ გაგზავნილი კვლევის თითოეული მიგნების და რეკომენდაციის განხილვას. დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ IDFI-ის მიერ 60 დაწესებულების მაგალითზე გამოვლენილი ნაკლოვანებები საკმარისი საფუძველი იყო, საიმისოდ რომ დასკვნები განზოგადებულიყო და იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებზე წარმართულიყო საუბარი, რომელსაც ესაჭიროებოდა გარკვეული შეფასება და მუშაობა მათ პრევენციაზე და აღმოფხვრაზე. დასკვნაში ასევე აღნიშნული იყო, რომ თემატური ჯგუფის მიერ დეტალურად შესწავლილი იქნა IDFI-ს კვლევაში მოყვანილი საკითხები, რომელთაგან დიდი ნაწილი დაემთხვა იმ ნაკლოვანებებს, რომელთა იდენტიფიცირებაც გახდა მიზეზიც და საფუძველიც საკუთრივ თემატური მოკვლევის დაწყებისთვის. ასევე, თემატური მოკვლევის ფარგლებში წარმოდგენილი იყო შემაჯამებელი რეკომენდაციები რომელიც ითვალისწინებდა როგორც შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე კონკრეტული საჯარო დაწესებულებების მიერ ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას. თემატური ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში იყო გათვალისწინებული IDFI-ს რეკომენდაციებიც.

სამწუხაროდ, პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების აღსრულების კუთხით, ამ დრომდე მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა. ამასთან, თემატური მოკვლევის ჯგუფის საბოლოო დასკვნა გამოქვეყნდა 2022 წელს, შესაბამისად ის გავლენას ვერ მოახდენდა 2021 წლის 10 დეკემბრის ანგარიშების წარდგენის პროცესზე, რასაც წინა წლების მსგავსად კვლავ ფორმალური ხასიათი ქონდა.

საჯარო დაწესებულებების მიერ 10 დეკემბრის ანგარიშების წარდგენაზე საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობის ზრდის და თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი რეკომნედაციების აღსრულების აუცილებლობის თვალნათლივ წარმოსაჩენად, IDFI-მ 2020 წლის მსგავსად, კვლავ განახორციელა საჯარო დაწესებულებების 2021 წლის ე.წ 10 დეკემბრის

ანგარიშების მონიტორინგი. კერძოდ, წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია საჯარო დაწესებულებების 2021 წლის 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული ინფორმაციის შესაბამისობა, IDFI-ს მიერ ამ პერიოდში გაგზავნილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე მიღებული პასუხების პრაქტიკასთან. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების პრაქტიკის ანალიზი ეფუძნება IDFI-ს 2021 წლის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა 2022 წლის მაისის თვეში.

კვლევის ობიექტ საჯარო დაწესებულებებად შეირჩა ისეთი უწყებები, რომლებიც IDFI-ს შეფასებით 2021 წელს გამოირჩეოდნენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დაბალი მაჩვენებლებით. კერძოდ, კვლევა განხორციელდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 2021 წლის IDFI-ს რეიტინგის მიხედვით, 50%-ზე დაბალი შეფასების მქონე **52** საჯარო დაწესებულების მაგალითზე.

10 დეკემბრის ანგარიშების სიზუსტის კონტროლს კვლავ ართულებდა, ანგარიშში ინფორმაციის ასახვის სპეციფიკა. მაგალითად, სტატისტიკური ინფორმაცია აერთიანებს საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შესული წერილების ან/და საჩივრების შესახებ ჯამურ მონაცემებს, საიდანაც (განსაკუთრებით ბევრი წერილების მქონე უწყებებში) ვერ ხერხდება, კონკრეტული წერილის მიმართებით უწყების მიერ მინიჭებული სტატუსის გამორკვევა. ამასთან, საჯარო დაწესებულები სტატისტიკის წარმოებისას ნაკლებად ახდენენ მიღებული განცხადებებისა და მათზე გაცემული პასუხების შინაარსობრივ შეფასებას. მაგალითად, თუ უწყებაში შევიდა 1 წერილი რომლითაც მოთხოვნილია, პირობითად 10 განსხვავებული შინაარსის ინფორმაცია, სტატისტიკაში ეს ათი მოთხოვნა აისახება როგორც 1 მოთხოვნა. ხოლო აღნიშნულ წერილის პასუხად, 10 შინაარსის სხვადასხვა მოთხოვნიდან 9-ის უპასუხოდ დატოვების შემთხვევაშიც, სტატისტიკაში აისახება როგორც დაკმაყოფილებული წერილი, საუკეთესო შემთხვევაში ნაწილობრივ დაკმაყოფილებული.

მიუხედავად მონიტორინგთან დაკავშირებით არსებული სირთულეებისა, IDFI-ს 2021 წლის პრაქტიკის და საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული ინფორმაციის ლოგიკური კონტროლით, კვლავ შესაძლებელი გახდა მთელი რიგი შეუსაბამობების იდენტიფიცირება.

უწყებები რომელთა 10 დეკემბრის ანგარიშები არ არის ხელმისაწვდომი

კვლევის ობიექტი 52 საჯარო დაწესებულებიდან, 22-ის 2021 წლის 10 დეკემბრის ანგარიში საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე, სადაც კანონმდებლობით საჯარო დაწესებულება ვალდებულია, რომ გამოაქვეყნოს 10 დეკემბრის ანგარიში. მათ შორისაა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, რომელიც 2021 წელს IDFI-ს მიერ დასახელდა ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად. კვლევის ფარგლებში IDFI-ის მიერ ვერ იქნა მოძიებული შემდეგი უწყებების 2021 წლის 10 დეკემბრის ანგარიშები:

- საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
- სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

- სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო
- საქვეუწყებო დაწესებულება - სახელმწიფო ხაზინა
- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია
- ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
- გარდაბანის მუნიციპალიტეტის მერია
- დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია
- კასპის მუნიციპალიტეტის მერია
- ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია
- მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
- მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
- სამცხე ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია
- ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია
- ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო
- შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო
- ხონის მუნიციპალიტეტის მერია

10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული ინფორმაციის მონიტორინგის შედეგები

კვლევის ობიექტი საჯარო დაწესებულებებიდან 12-ს, 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვს რომ, 2021 წელს შესული ყველა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა დააკმაყოფილა. მათ შორის 10 უწყების სტატისტიკა, მხოლოდ IDFI-ს მიერ გაგზავნილ წერილებზე დაყრდნობით შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობებს. მაგალითად, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიას IDFI-მ 2021 წლის 16 სექტემბერს გაუგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილი, რომელიც მოიცავდა 24 სხვადასხვა შინაარსის მოთხოვნას. აღნიშნული წერილი მერიის მიერ დღემდე დატოვებულია უპასუხოდ, თუმცა უწყებას 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვს რომ 2021 წელს შესული 143 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნიდან 143-ვე დააკმაყოფილა. ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიას, მიუხედავად IDFI-ს 2021 წლის 16 სექტემბრის წერილის უპასუხოდ დატოვებისა, 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვს, რომ 2021 წელს ყველა - 52-ვე მოთხოვნა დააკმაყოფილა. ასევე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას მიუხედავად IDFI-ს 2021 წლის 16 სექტემბრის და 9 ნოემბრის წერილების უპასუხოდ დატოვებისა, მითითებული აქვს რომ ყველა (28-ვე) მოთხოვნა დააკმაყოფილა. მსგავსი მდგომარეობაა ასევე ნინოწმინდის მერიის, ასევე მესტიის, ნინოწმინდის, ადიგენის, სიღნაღის და ჩხოროწყუს საკრებულოების შემთხვევაშიც, რომელთა 2021 წლის 10 დეკემბრის ანგარიშში აღრიცხული არ არის IDFI-ს მინიმუმ ერთი უპასუხო წერილი.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიამ IDFI-ს 2021 წლის 16 სექტემბრის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილს, პასუხი გასცა დაახლოებით 5 თვის დაგვიანებით, 2022 წლის 21 აპრილს.

შესაბამისად, 2021 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული წერილი იყო უპასუხო. მიუხედავად ამისა, საკრებულოს 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებულია რომ ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

საჯარო დაწესებულებები რომლებსაც 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვთ, რომ ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილეს				
საჯარო დაწესებულება	უწყების 2021 წლის 10 დეკემბრის ანგარიშის სტატისტიკა		IDFI-ს მიერ გაგზავნილი წერილის თარიღი	პასუხის თარიღი
	შესული განცხადება	დაკმაყოფილებული განცხადება		
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია	143	143	16.09.2021	უპასუხო
ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია	52	52	16.09.2021	უპასუხო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია	40	40	16.09.2021 09.11.2021	უპასუხო
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია	28	28	16.09.2021 09.11.2021	უპასუხო
აბაშის მუნიციპალიტეტის მერია	27	27	16.09.2021	21.04.2022
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო	27	27	09.11.2021	უპასუხო
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	23	23	22.09.2021	უპასუხო
ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო	13	13	22.09.2021	უპასუხო
სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო	11	11	22.09.2021	უპასუხო
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო	8	8	09.11.2021	უპასუხო

კვლევის ფარგლებში შესწავლილი საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშებში ხშირია შემთხვევები, როდესაც სტატისტიკაში დაკმაყოფილებული წერილების გარდა, ყველა სხვა წერილს მინიჭებული აქვს მიმდინარე სტატუსი. სტატისტიკაში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ წერილზე მიმდინარე სტატუსის მინიჭება გამართლებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ 10 დეკემბრის მდგომარეობით, კონკრეტულ წერილზე არ არის გასული კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადა და მიმდინარეობს შესაბამისი პასუხის მომზადების პროცედურები. თვეობით ვადაგადაცილებული წერილებისათვის, მიმდინარე სტატუსის მინიჭება ატარებს მანიპულაციურ ხასიათს, რომელიც მიზნად ისახავს უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის დამალვას. ამასთან, ამ გზით საჯარო დაწესებულება თავს არიდებს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ინფორმაციის (რომელ საკანონმდებლო აქტებს ეყრდნობოდა საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილებისას ან ვინ იყო მსგავსი გადაწყვეტილების მიმღები პირი) ანგარიშში ასახვას.

კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებულია 7 საჯარო დაწესებულება, რომლებსაც 2021 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით IDFI-ს მინიმუმ ერთ წერილზე ქონდა ერთ თვეზე მეტი ვადაგადაცილება (მათგან 5-უწყებას პასუხი დღემდე არ მოუწოდებია), თუმცა ეს წერილები 10 დეკემბრის ანგარიშში ასახულია როგორ მიმდინარე სტატუსის მქონე წერილი. მაგალითად, მთავრობის ადმინისტრაციის 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებულია რომ, 2021 წელს შემოსული 163 წერილიდან 121 დაკმაყოფილდა ან გადამისამართდა რელევანტურ უწყებაში, ხოლო დანარჩენი 42 წერილი არის მიმდინარე. 2021 წელს IDFI-ს მთავრობის ადმინისტრაციაში

გაგზავნილ 5 წერილზე პასუხი საერთოდ არ მიუღია. მათ შორის, ერთ-ერთი გაგზავნილია 2021 წლის 11 თებერვალს. შესაბამისად, 10 დეკემბრის მდგომარეობით, ამ წერილზე ფიქსირდებოდა 10 თვიანი ვადაგადაცილება, თუმცა სტატისტიკაში მაინც მიმდინარე სტატუსით იქნა აღრიცხული. მსგავსი მდგომარეობაა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, ციფრული მმართველობის სააგენტოს და სხვადასხვა მუნიციპალიტეტის შემთხვევაში (იხ. ცხრილი).

საჯარო დაწესებულებები რომლებსაც 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვთ, რომ ყველა მოთხოვნა ან დაკმაყოფილებულია ან მიმდინარე სტატუსის მატარებელია					
საჯარო დაწესებულება	უწყების 2020 წლის 10 დეკემბრის ანგარიშის სტატისტიკა			IDFI-ს მიერ გაგზავნილი წერილის თარიღი	პასუხის თარიღი
	შესული განცხადება	დაკმაყოფილებული განცხადება	მიმდინარე სტატუსი		
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	163	121*	42	11.02.2021 26.03.2021 21.04.2021 02.08.2021 26.10.2021	უპასუხო
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	289	240	49	23.03.2021 20.10.2021	უპასუხო
სპეციალური პენიტენციური სამსახური	70	37	33	15.11.2021 19.11.2021	24.03.2022 უპასუხო
მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	62	60	2	22.09.2021 09.11.2021	უპასუხო
ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია	33	32	1	16.09.2021	უპასუხო
ციფრული მმართველობის სააგენტო	29	26*	3	20.10.2021	უპასუხო
წალკის მუნიციპალიტეტის მერია	23	22	1	16.09.2021 09.11.2021	უპასუხო

***შენიშვნა** - დაკმაყოფილებული განცხადებების მაჩვენებელში შეყვანილია სხვა საჯარო დაწესებულებებში გადამისამართებული განცხადებების რაოდენობაც.

10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილება მიღებული აქვს მხოლოდ 10 საჯარო დაწესებულებას. მათ შორის, 4 წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უწყებას. ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ასახული ინფორმაცია (საკანონმდებლო აქტები, გადაწყვეტილების მიმღები პირი) ხშირ შემთხვევაში ზოგადი ხასიათისაა და არ იძლევა კონკრეტიკის საშუალებას. მაგალითად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებულია, რომ 2021 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა სხვადასხვა სამართლებრივი აქტები (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი, სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართელოს კანონი და სხვა), თუმცა ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიმღები პირების შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ანგარიშის მიხედვით შესული 10 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 8. თუმცა დანარჩენი 2 განცახდების არ დაკმაყოფილების საფუძვლების და შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები პირების შესახებ ინფორმაცია ანგარიშში არ არის ასახული.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, საჯარო დაწესებულებები, ვალდებულები არიან 10 დეკემბრის ანგარიშში ასახონ ასევე, მათ გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზების და პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ ინფორმაცია. კვლევის ობიექტი საჯარო დაწესებულებებიდან მხოლოდ 5 უწყებაა ისეთი რომელსაც, ანაგრიშში აღრიცხული აქვს მათ გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი. დანარჩენ შემთხევაში ან საერთოდ არაფერია ამ საკითხზე ასახული ანგარიშში ან წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უწყება აწარმოებს მონაცემთა ბაზებს და დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს პერსონალური ინფორმაციის დამუშავებას. მაგალითად, მთავრობის ადმინისტრაციას 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვს რომ, ადმინისტრაცია სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით გააჩნია მონაცემთა ბაზები, თუმცა რა მონაცემთა ბაზებს ფლობს არ არის დაკონკრეტებული. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც ანგარიშში ამ კუთხით არსებული ჩანაწერები ვერ პასუხობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

საჯარო დაწესებულებები რომლებსაც 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვთ საჯარო მონაცემთა ბაზების დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაცია	
	საჯარო დაწესებულება
1	შინაგან საქმეთა სამინისტრო
2	ციფრული მმართველობის სააგენტო
3	აბაშის მუნიციპალიტეტის მერია
4	აღსრულების ეროვნული ბიურო
5	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია

ადმინისტრაციას, შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით გააჩნია მონაცემთა ბაზები, მათ შორის არის მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს თანამშრომელთა პერსონალურ მონაცემებს.

მთავრობის ადმინისტრაციის 10 დეკემბრის ანგარიშში მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებით არსებული ინფორმაცია

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

ამონარიდი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10 დეკემბრის ანგარიშიდან

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ანგარიში
საქართველოს ზოგადი ადმინისტაციული კოდექსის ინფორმაციის
თავისუფლების შესახებ-დებულების შესრულების თაობაზე

2021 წელს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმციის მოთხოვნით შემოვიდა 10 განცხადება. დაკმაყოფილდა 8.

2021 წელს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემაზე ხარჯები არ გაწეულა.

დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა.

2021 წელს პერსონალური მონაცემების სხვისთვის გაცემის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

2021 წელს საჯარო მოსამსახურეების მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10 დეკემბრის ანგარიში

მონაცემები საჯარო მონაცემთა ბაზების შესახებ

საჯარო მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი	საჯარო მონაცემთა ბაზების აღწერილობა
–	–

ამონარიდი მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10 დეკემბრის ანგარიშიდან

დასკვნა

კვლევის ობიექტი 52 უწყების 2021 წლის ე.წ 10 დეკემბრის ანგარიშების მონიტორინგმა აჩვენა რომ, წინა წლების მსგავსად, კვლავ ხშირია შემთხვევები როდესაც საჯარო დაწესებულებები ანგარიშებში ასახავენ კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამო მონაცემებს. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში IDFI-ს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების უპასუხოდ დატოვების მიუხედავად, 10 დეკემბრის ანგარიშებში ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების ასახვა, ასევე, თვეობით ვადაგადაცილებულ წერილებზე მინიჭებული მიმდინარე სტატუსები, საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის არაკეთილსინდისიერ და მანიპულაციურ აღრიცხვაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინამდებარე ანგარიშში განხილული შეუსაბამობები, იდენტიფიცირებულია მხოლოდ IDFI-ს მოთხოვნებზე მიღებული პასუხების და 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული მონაცემების ლოგიკური შედარებით. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ანგარიშების სრულყოფილი შესწავლის შემთხვევაში არსებული უზუსტობების და შეუსაბამობების მასშტაბები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

განსაკუთრებით საყურადღებოა, მთელი რიგი საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს მონიტორინგის სრულფასოვან პროცესს.

2021 წლის 10 დეკემბრის ანგარიშების მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი უზუსტობები, იმეორებს წინა წლებში არსებულ პრაქტიკას. შესაბამისად, 10 დეკემბრის ანგარიშების მონიტორინგის ეფექტიანობის და ანგარიშვალდებულების ამ პროცესისსანდოობისთვის, მნიშვნელოვანია IDFI-ს მიერ წინა წლებში შემუშავებული რეკომენდაციების შესრულება, რომელთა მნიშვენლოვანი ნაწილი გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტის თემატური ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნაშიც.

IDFI კიდევ ერთხელ მოუწოდებს ხელისუფლებას გადადგას ქმედითი ნაბიჯები პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების აღსრულებისთვის.